# აჰმადია მუსლიმი ხალიფების ხედვები სოციალურ ეთიკასთან მიმართებით

ლიკა ლაზიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: რელიგიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ სონღულაშვილი, დოქტორი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

# განაცხადი

*როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარ და არ შეიცავს ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

*ლიკა ლაზიშვილი*

*29.06.2022*

# აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში, რომლის სათაურია - „აჰმადია მუსლიმი ხალიფების ხედვები სოციალურ ეთიკასთან მიმართებით“, განხილულია ხალიფების (იგულისხმება პირველი და მეოთხე ხალიფა) სოციალური ეთიკისადმი ხედვები, რაც თავის მხრივ განაპირობებს აჰმადია მუსლიმთა სოციალურ პრაქტიკას თანამედროვე სამყაროს გამოწვევებთან ადაპტირებით.

აჰმადია მუსლიმთა თემი ერთ-ერთი უახლესია მუსლიმურ სამყაროში, რაც ნიშნავს რომ საზოგადოებების ნაწილისთვის ჯერ კიდევ უცნობი ან ნაკლებად ნაცნობია.  აქედან გამომდინარე, ამ თემის ყოფის მიმართ უამრავი კითხვა შეიძლება დაიბადოს.  ერთ-ერთი უპირველესი და უმთავრესი კითხვა იქნება, თუ ვინ არიან აჰმადია მუსლიმები?

ნაშრომის მიზანია გაგვაცნოს აჰმადია მუსლიმები, რაც გულისხმობს, ჩამოყალიბების დღიდან დღემდე არსებული სოციალური ეთიკის პრიციპების გააზრებას,  სოციალური ეთიკის სამი ფუნდამენტური კომპონენტის გათვალისწინებით: ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ღირებულელების მიხედვით.

ვინაიდან აჰმადია მუსილიმთა წარმოშობისა და გავრცელების საწყის თარიღად 1889 წელი სახელდება და უკავშირდება პირველ ხალიფად წოდებულ მირზა ღულამ აჰმადს, ამ უკანასკნელით იწყება აჰმადია მუსლიმი თემის სოციალური ეთიკის საწყისების განხილვა. გრძელდება ხალიფატისა და ბაიათის გააზრებით.



**საკვანძო სიტყვები : ეთიკა, აჰმადია ისლამი, ჯამაათი, ხალიფატი, ბაიათი.**

# Abstract

This paper, entitled "Ahmadiyya Muslim Caliphs' Views on Social Ethics", discusses the caliphs (meaning the first and fourth caliphs) visions of social ethics, which in turn determine Ahmadiyya's social challenge to Muslim practices in modern Samadha.

The Ahmadiyya Muslim community is one of the newest in the Muslim world, which means it is still unknown or less familiar to some communities. Therefore, a lot of questions can be asked about the existence of this topic. One of the first and foremost questions will be who are the Ahmadiyya Muslims?

The aim of the paper is to introduce Ahmadiyya Muslims, which means understanding the principles of social ethics that have existed since its inception, taking into account the three fundamental components of social ethics: the values of the family, society and the state.

Since the year 1889 is the first date of origin and spread of Ahmadiyya Muslims and is related to Mirza Ghula Ahmad, the first caliph, the latter begins the discussion of the beginnings of the social ethics of the Ahmadiyya Muslim community.


**Key words: Ethics, Ahmadiyya Islam, Jamaat, Caliphate, Bayat**

# მადლობა

მადლობას ვუხდი კონკრეტული ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ასოცირებულ პროფესორსა და დოქტორს, ბატონ მალხაზ სონღულაშვილს გაწეული დახმარებისთვის, სამაგისტო ნაშრომის თემატიკისა და მეთოდოლოგიის შერჩევისათვის; ასევე მადლობა საქართველოში აჭამადია მუსლიმი თემის წარმომადგენლებს კვლევის პროცესში ჩართულობისა და მათი როლისათვის.